ცისკარი

1873

იულისი ⸗ აგვისტო.

წელიწადი მეშვიდმეტე

წოდება თხზულებათა:

I.—კატაკომბი (ნათ.) ივ. კერესელიძისა.
II.—ვარდი. (ლექსი) მისივე.
III.—ვაზის სნეულება.
IV.—სხუა ⸗ სხუა ანბავი.

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში

კ ა ტ ა კ ო მ ბ ი.

VII.

რაც რომში გორაკები, ყველაზედ მაღალი არის გორაკი, რომელსაცა ეწოდება პალატინი. ამაზედ ავგუსტ კეისარმა აღაშენა სასახლე და იმის მაგალითს მიბაძეს იმისმა მემკვიდრეებმა იმპერატორებმა. მდიდარი სასახლეები გაავრცელა თან-და-თან, და ბოლოს ეს სასახლეები ერ-კვარტალად გადაიქცა. იქ არიან მშვენიერი სასახლეების გორდა, უწარჩინებულესი ბაღები, თავისი ძვირფასი კედლებით, დიდებული ბულვარები ნერონ კეისარს, ეს სიმდიდრე კიდევ არაფერათ ეჩვენა. იმან გადაწვა ის კვარტალი, რომელიც ამ კვარტალზედ ახლო იყო და იმის სანაცვლოდ გაავრცელა სხვა შენობაები, ეკულინსკის გორაკამდინ. ვესპასიანე იმპერატორმა დააქცევინა იმპერატორის სასახლეები და იმის ნაცვლად აღაშენა ერთი სასახლე, რომელიცა რაც სასახლეები იყო, ერ-

თად რომ შეგეკრიფათ, ყველაზედ დიდი ეს იყო, იმას უწოდებდნენ კოლიზეის, როდესაც შევიდოდა კაცი ამ სასახლეში, ალაყაფის კარებს რომ შეეღებოდა ჰირველად დიდი გალავანი, რომლის სივრცე და შენობაები დღესაც დარჩომილია. მარჯვნივ რომ შეუხვევდით, უნდა შეგეღოთ დიდი ოთხკუთხიანი ბაღი, დაბურული დიდრონის ხეებითა, ჯაგნარებითა, ყვავილებითა; თუ მარცხნივ შეხვიდოდით, გაივლიდით აქეთ და იქით დიდის შენობაების შუა! რომლის თავში მარმარილოს დიდი ჭაუზი იყო და შადრევანი მოკამკამოცივის წყლისა ამოქუხდა. ის აუზი დღესაც მრთლად დარჩომილია. იმ შადრევნის ზემოთ სასახლის შენობაში იდგა სებასტიანე, თავისის გვარდიის ჯარით, რომელიცა იცვავდა იმპერატორსა. იმისი სადგომი იყო რამდენიმე ოთახებისაგან შემდგარი, იყო მორთული უბრალოს მებილებით და ჭუვანდნენ მოსამსახურეები სრულებით იმისაგანვე განთავისუფლებულები, ჭუვანდნენ დედაკაცები, აგრეთვე თავისუფლები და ერთი მიმა, რომელიცა დედასავით უყვარდა რაც მოსამსახურეები ჭუვანდა, სულ ერთიან ქრისტიანები იყუნეე, თვითან სებასტიანე ხომ დაფარული ქრისტიანი იყო; ეს მოსამსახურეები ზოგნი დაბადებით იყვნენ ქრისტიანები, ზოგი თვითან

სებასტიანეს მოექცია. თუმცა მრთელი სახლობა ქრისტიანი იყო, მაგრამ ეს ანბავი სრულებით არავინ იცოდა, თორემ თუ სცოდნოდათ, მერე სასახლეში ეს ანბავი, სადაცა იმპერატორი იდგა, დიდი მტერი ქრისტიანებისა, დიდი ტანჯვითი სიკვდილი მიადგებოდათ.

რამდენიმე დღემ განვლო მას შემდეგ, რაც ანბავი გიანბეთ. იყო საღამო მზე ჩავიდა. სებასტიანე, რომელსაცა მისდევდა ახალგაზრდა ჰანკრატი, ადიოდა მარმარილოს კიბეზედ, თავის სასახლეში. ჰანკრატის უყვარდა სებასტიანე იმ ნაზის გრძნობით, რა გრძნობითაც უყვართ ემაწვილი კაცი კეთილის გულისა და საზოგადოებაში გამოჩენილი; ჰანკრატის უყვარდა სებასტიანე იმისათვის კი არა, რომ იმპერატორთან შესულიყო და თვალსაჩენი ადგილი ეჭირა, იმას უყვარდა როგორც კეთილი, პატიოსანი და ჭკვიანი კაცი. სებასტიანეს უყვარდა ჰანკრატი კიდევ ამისათვის, რომ ის იყო ერთის სარწმუნოებისა, კეთილის თვისების და გონიერი.

როდესაც შევიდნენ სებასტიანე და ჰანკრატი ზემოეტაჟის ოთახში, სადაცა იყო სებასტიანეს მოსასვენებელი ოთახის, ფანჯარა ღია იყო და იქიდან მშვენიერი სანახავი იხილვებოდა. თხუთმეტის დღის მთვარე და-

ნათებდა დიდს ვოლიზეის სასახლესა, თვალ უწდომ სივრცეზედ გა-აჭიმულს; შადრევნის ჩქრიალის ხმა სასმოთ ამოისმოდა. მეორეს მხრით ამართული მოჩანდა დიდი ძალი შენობა სევერი კეისრისა და ჰირდაჰირ გორაზე მოჩანდნენ კარაველდის აბანოების კედლები. ეს ორნივე უმაწვილი კაცები იდგნენ ფანჯარასთან. სებასტიანეს ხელი გადაეხვევა, ძვირფასის მეგობრის ჰანკრატის კისერზედ. ჩუმათ იდგნენ ისინი და სიამოვნებდნენ მთვარის შუქზედ მშვენიერის სანახაობით.

ეს ღამის სიჩუმე უცებ შერეულ იყო, მუქარის ხმითა, რომელიცა ამოხდა ქვემოთგან და განქრა წმინდა ჭაერში.

— ეური უგდე! სთქვა ჰანკრატიმ. ეს რა ანბავია?

— ლომის ბღუილსა ჭვავს, მიუგო სებასტიანემ. უთუოდ მხეცები მოუსხავთ და დაუმწყდევიათ. გუშინ კი არ მოეკვანათ და....

— ეს ხმა რაღასაც საეკვირის ხმას მიემგავსება, უთხრა ჰანკრატიმ, თითქმის მიშველებასა გვთხოვენო.

ორივე გაჩუმდნენ, რა ფიქრს მიეცნენ. ბოლოს ჰანკრატიმ სთქვა:

— მინდა რჩევა გკითხო, ერთს საქმეზედ. ჩქარა შეიყრებიან შენი სტუმრები?

— ოჰ, არა, ისინი მოვლენ ცალ-ცალკე, რომ ეჭვი არავინ აიღოს. მინამ შევიდეთ ჩემს ოთახში, იქ არავინ შეგვაწუხებს.

ისინი შეიდნენ მეორეს ოთახში და დასხდნენ ფანჯრის წინ.

— აბა მითხარი, რა საქმეა, რომ ჩემს რჩევას თხოულობ? ჰკითხა სებასტიანემ.

— ეს საქმე ერთი დიდი საქმე არ არის, მაგრამ არ ვიცი როგორ დავიწყო. ჩუჩნს სახლში დიდ ძალი ვერცხლის ჯურჯეულობაა; ჩუჩნი ცხოვრება, დიდაცური არ არის. უბრალო ცხოვრება კვიუვარს, როგორც მე, ისე დედა-ჩემს; ამ ჯურჯელს ვერცხლისას აბა ვინ იხმარებს ბ ან რა საჭიროა; დედა-ჩემს დიდ ძალი მეირფასი თვალ-მარგალიტის სამკაული აქუს. კარგად იცი ნათესავი ქუჩეანაზედ არავინა მეაუს, რომ იმას დარჩენოდა ჩემი სიმდიდრე; ჩემი ნამდვილნი მემკვიდრენი ქრისტიანები არიან, ის ღარიბი ქრისტიანები, რომელთაცა დღიური საზრდო არა აქუსთ,—ვითვიქრე, რატომ არ უნდა დაურიგო ჩემსავე სიცოცხლეში ეს ქონება, იმ ჩემს ძმებს? რისთჳს არის საჭირო, ვიქონიო დაკეტილს ზანდუკებში უხმარისი ქონება, რომ ღარიბები მიელოდნენ ჩემს სიკვდილს, რა არის მერე დაკვ-

რჩება ჩუწნაო, არა სჯობს ახლავე ჩემის ხელით და-ურიგო? ეს ამისათჳს უფრო საჭიროა ახლავე, რომ ჩემის სიკვდილის შემდეგომს, მთავრობა თჳთან დაიჭერს ჩემს ქონებას ბ ღარიბები ცარიელნი დარჩებიან.

— მერე დედა შენი მაგაზედ თანახმა არის? ჰკითხა სებასტიანემ.

— რასაკვირველია თანახმაა. უიმისოთ, ვერც ერთს ნაჭერს ვერ შევეხები, მაგრამ იმისთანა წლოვანებაში ვარ, რომ მე არ მინდა ეს საქმე გამოკაშკარაო, ამას გარდა, ეს იქნება ოავის მოწონება. ისე მსურს დავეხმარო ღა-რიბებს, რომ არავინ არა შეიტყოსრა თუ ჩემი იყო ის ქონება, და მე დაურიგე.

— რაზედ დაფიქრებულხარ, ჩემო სულის შვილო, მე შემიძლიან მაგ საქმეში მოგეხმარო, უპასუხა სება-სტიანემ, ნაზის, სიფუარულის ხმით და უცებ, ეური მიუგდო ფანჯარას, თითქმის რაღაც მიესმაო. მერე ჩუმათ განაგრძელა.—სუს, მე შემოესმა სახელი ფა-ბიოლლასი...დიახ, სწორეთ, იმისი სახელი ვიღაცამ ახსენა.

ჰანკრატი ფეხ-წუნარად მივიდა, ღია ფანჯარასთან, იქიდამ ამოისმოდა ორი ადამიანის ლაპარაკი. მთვარის შუქზედ ადვილათ გაირჩეოდა, თუ ვინ იყვნენ.

— მე ვიცანი ის ათრიკანელი ქალი, უთხრა სებასტიანემ ჰანკრატის, ის არის აფრა, ფაბიოლლას მოასლე.

— მერე რომელიც ელაჰარაკება, ის არის კორვინი, ჩემი შკოლის ამხანაგი, უთხრა ჰანკრატიმ.

ორივემ ეური მიუგდეს, იმათ ლაჰარაკსა, ისინი დარწმუნდნენ, რომ ის ორნი კეთილს საქმეს არ აწეობდნენ.

ჩუენ საკმაოდ ვიცნობთ აფრას, მაშ უნდა ვსთქუათ, რამდენიმე სიტყვა კორვინიაზედ. მამა იმისი იო ქალაქში მსაჯულად. ეს თანამდებობა დაწესებული იო ტიბერია კეისრისაგან, რესპუბლიკის დროს. იმისი მოვალეობა იო, მოსამართლეობა, მხოლოდ დამნაშავეებისა. ის, რომ დააჯერინებდა დამნაშავეს, გამოიძიებდა, ჰკითხავდა, სხუა და სხუა გაცხელებულის რკინებით დაღავდა, რომ გაეტეხა დამნაშავე და მერე სიკვდილითა სჯიდა, როგორც იმას ჯკუა გაუჯრიდა. დიდი უფლება ჰქონდა მიცემული. ერთის სიტყვით კაცის სიცოცხლე იმის ხელში იო. მაშინდელს დროში შამფურებით დაღავდა და იმ გვარი სატანჯავი იარაღები ჩვეულებათ იო ხალხში, სადაცა კერპთ თაყვანისმცემლობა გავრცელებული იო, ახლაც კი არის ეს ჩვე-

ულება, აზიაში, ველურს და გაუნათლებელს სალხში, ათასჯერ უკეთესი არის კაცი მოკლან ჩქარა ვიდრე ტანჯვით დაღებითნისა მამაკორვინისა შეჩვეული იყო ამ ბარბაროსობასა და კაცის ტანჯვასაიმას ჩალად მიაჩნდა. ის იყო ხელმოკლე კაცი და მხოლოდ ჯამაგირით სცხოვრებდა; ბაგრამ როგორც გაუმამლარს კაცს გამდიდრება ძრიელ უნდოდა, რა სასითაც უნდა ეოფილიყო. ის იყო გაუზრდელი, ესწავლა ცოტა და ისიც ცუდად, ამისათვის არც იმედი ჰქონდა თავის დღეში ამაღლებულიყო. ერთი მხოლოდ ამით ჰქონდა იმედი, რომ თუ მდიდარს ქალს შერთავდა თავის შვილს, ეგები ამითი მაინც გამრდიდრებულიყო.

— რა ანბავია ახალი? ჰკითხა სებასტიანეს ფანჯრის ქვემოთ მეოფმა, ქუჩაში, აფორას.

— არაფერი, მიუგო იმან, ეს არის მარტო ახალი ანბავი, რომ ჩემი ქალბატონი ფაბიოლლა, ხვალზეით მიდის კაეტას სოფელში, სადაცა რასაკვირველია მეც მივდევ. მე მინდა ფული!

— ფული? კიდევ ფული! აკი სულ ერთიან მოგეცი, რაც ფული მამაჩემს გამოვართვი.

— შენ იცი ვინ არის ფაბიოლლა?

— რასაკვირველია ვიცი. ის არის მორთულს ქალაქში ყველაზედ მდიდარი გასათხოვარი ქალი.

— ოჰ, იმისთანა მდიდარი და ამპარტავანი ქალის მორბილება ადვილი არ არის.

— აკი ალმითქვა, უეჭველად მოვარბილებ და მოგინდომებს ქმრათაო. უქე ჩემი თავი, უანბე ჩემზედ ბევრი კარგი, მაშინ იმედია ეურადღება მომცეს.

— კარგია ეგა, მაგრამ მუქთად! თუ ფულები არა გაქვს, რატომ არ მოიგონებ როგორც უნდა იყოს? ფულვიასაგან მაინც ისწავლე, რომ იმდენი სიმდიდრე აქუს.

— საიდან შოულობს მერე ის? რითა გებულობს?

— სისხლით, წარმოსთქუა დამშვიდებით აფრამ.

— შენ რა იცი რომ სისხლით შოულობს? ჰკითხა კორვინიამ.

— მე ვიცნობ იმის მოსამსახურეს, რომელიცა არა შორდება ბატონს. იმისი კანიც ისეთი შავია, როგორც ჩემი; იმისი სამშობლო ენა ჩემსას მიემგზავსება, ისე რომ იმასთან ლაპარაკი ადვილათ შემიძლიან. ის დამეკითხა, თუ რომელია სასტიკი საწამლავი, ოღონდა მასწავლე ეს საწამლავი, გიყიდი შენის ბატონისაგან, შეგირთამო. ჩემ სამშობლოშიაც მივუეკარ, მაგრამ არა, მე სულ სხუა ფიქრი მაქვს. რაც უნდა იყოს და მე იმისგან ბევრი რამ შევიტყე.

— რა?

— მე შევიტყე რომ ფულვიას მოუხდენია ჩუმათ დიდი შეთქმა, წინააღმდეგ დიოკლიტიანე კეისრისა, უნდა ვითომ ტახტითგან გადმოაგდოს. მაგრამ ეე ძნელად მომატყუებს კაცი, მაშინვე მივხვდი რომ ეს შეთქმა ბატონ ემას მოუხდენიათ. ამ საქმეზედ დიდი ძალი ფული მოუკრეფიათ, ახლა აქ მოვიდნენ, რომ ამ ქალაქშიაც მოძებნონ მომხრენი.

— მაგ საქმეებში მაბა ჩემი არ ერევა, იმისი საქმე ის არის, იმპერატორის ბძანებით ქრისტიანებს სდევნის, ქრისტიანებსა მალე შეეტყობათ, თუმცა ძალიან იმალებიან, იმათის ქცევით ეველა შეიტყობს ვინც არიან.

— მაშ თუ კინდა სიმდიდრის მოპოვება, რატომ არ ვაბოაჩენ ერთს ორს მდიდარს ქრისტიანს, იმათ დასჯიან და შენ მოუცემენ იმათ სიმდიდრესა. მაშინ რასაკვირველია, ფული რომ ბექნება, ფაბიოლასაც მალე ჩაიგდებ. აი, მე ახლა დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ამხანაგი ერთი მიახლე, რომელსაცა ჰქვიან სირა, ქრისტიანია, სწორეთ, ვიცი.

— რით იცი რომ ის ქრისტიანია?

— ჰირველი ეს რომ, ის თავისდღეში სიცრუეს

არ იტევის, და ეოველთვის თავისის სწორეთ თქმისა-თვის, ეველას მოითმენს; მეორე, არ უევარს არცა ოქ-რო, არცა ვერცხლი, არცა მორთულობა; რაც რა აბადია და რასაც მოიგდებს, სულ ღარიბებს აძლევს; უსინათლოებს და საწუალებს ელტვის ეოველთვის; სა-დაც აკაოშეოფები არიან, სულ იმასა ცდილობს, იმათ ხელი მიწაოდოს.

— იცი შენ, უთხრა სიცილით კორვინიმ,—რომ დღეს შევხდი შენის ქვეენის სალხსა, რომელიცა შემო-ჭკანდაი რომის ქალაქის ალაეაფის კარებში? მაგრამ ისინი, მგონია შენზედ მიმატებით კეთილნი იეენენ.

— ვინ იეენენ? ჭკითხა აფრამ.

— ფოცხვერები, ლომები და სხეა მტაცებელი ბირუტეეები. ისინი მოუდიოდათ აფრიკითგან რომში, ანბობენ, დიდი თამაშა უნდა იეოსო, ცირკში.

აფრა ეურს არ უგდებდა, რა ეს შენიშნა, კორვი-ნიეს უთხრა.

— კარგია ერთი, გეხუმრე, გავშორდეთ ისევე მე-გობრულათ.ი კიდევ ფული, მაგრამ ამას უკანასკნელად გამლევ. ამას იქით ალარ მოგცემ, მინამ არა ვნახავ რომ შენს ქალბატონს შეუევარდი. რჩევისათვის კი გმა-დლობ. ქრისტიანების მონადირება, დიდი სამსახურის

გადახდაა იმპერატორისათვის. ვეცდები მოვინადირო.

ისინი განშორდნენ და წავიდნენ სხუა და სხუა მხარეზედ. სებასტიანეს არა ფერი არა გაუგონიარა ამ ლაპარაკისა, მხოლოდ დუდუნი შემოესმოდა. ის გაჭკვირდა, როცა დაინახა რომ აფრა შემოვიდა სასახლეში, იმან იფიქრა შეეტყობინებინა ფაბიოლლასათვის, რომ ღამით იმისი მონა დაიარებოდა, ვიღაცებთან, რომელიცა არ მოასწავებდა კარგს ანბავს. ამისათვის უნდა მოეცადნა ფაბიოლლასათვის, ვინაც ის სოფლითგან დაბრუნდებოდა.

როდესაც სებასტიანე და პანკრატი შეიდნენ სასტუმროს ოთახში, იქ დახვდნენ სტუმრები. სუფრა იყო უბრალოთ, მაგრამ სუფთად გაშლილი. სტუმრები ერივნენ სხუა და სხუა ჰირნი. იქ იყვნენ მღვდლებიც, აფიცრებიც, დედაკაცებიც, მოხუცებული კაცებიც, მდიდრებიც და ღარიბებიც; დიდნი კაცნიც და გლეხნიც. ისინი იყვნენ შეერილნი, რომ მოელაპარაკნათ და რჩევა შეედგინათ შემდგომს საქმეზედა:

სებასტიანეს იმისთანა ადგილი ეჭირა რომ, შეძლო მფარველობა ჰქონოდა ქრისტიანებზედ და კერპთაყვანის მცემლები მოექცია ქრისტიანობრივ სარწმუნოებაზედ, უკანასკნელს დროში, სებასტიანეს მეცადინეობით

იმდენთ კერპთ თაყვანის მცემელით მიიღეს ქრისტიანობა, რომ მთავრობამ ეურადღება მის ა და ღონის ძიების მოხმარებას შეუდგა. ბრალეულნი დაიჭირეს და ითხოვა დაუწყეს, იმათ შორის იყვნენ, მარკი და მარკელინ, ისინი, ორივე ჩამოახრჩეს, ისე რომ ნებაც არ მისცეს დედა-მამას ჯამოსალმებიყვნენ.—იმათი ნათესავები მაცი-დნენ მინამ ჩამოახრჩობდნენ, ციხეში ტუსაღებთან და ურჩევდნენ დაეტოვებინათ ქრისტიანობა, რომ სიკვდილს გადარჩენილიყვნენ. იმათ აღუიქვეს, ვიფიქრებთო. სებასტიანეც, თუმცა საშიშარს მდგომარეობაში იყო, მაგრამ როგორც იყო შევიდა ციხეში, მცნობების დახმარებით და ამაგრებდა ტუსაღებს, არ დაეტოვებინათ ქრისტიანობრივი სარწმუნოება. ისეთის გრძნობით, ისეთის სიყვარულით, ისეთის მღუთიურის სიტყვებით არიგებდა ქრისტიან ტუსასაღებს, რომ აღტაცებაში მოსულნი, დაემხნენ სებასტიანეს წინ და შეჰფიცეს, მისცემოდნენ გაბედვით სიკვდილს თავიანთ სარწმუნოებისათვის. ტუსაღები გაჰვირდნენ როდესაც ნახეს ემაწვილი კაცი სებასტიანე, მდიდარი, ლამაზი, და დიდი კაცი, რომელიცა მზათ იდგა შეეწირა თავისი სიცოცხლე, ქრისტიანობისათვის, ციხი ს ეარაულებშიაც ისეთი სიყვარული აღიძრა სებასტიანესი, რომ ვერც ერთმა ვერ გაბედა ეცხობე-

ბინათ კეისრისათვის, ისინი მზათ იყვნენ დაეკარგათ თავიანთი თვალსაჩენი ადგილები, მინამ დაებეზღებინათ სებასტიანე.

— სებასტიანეს სახლში შეერილიყვნენ რჩევის მოსახდენად, თუ როგორი დარიგება მიეცათ, ახალად მოქცეულთ ქრისტიანებისათჳს, ხშირად, ინათლებოდნენ კერპთაყვანის მცემელნი, როდესაც ქრისტიანები მოიყვანდნენ, მაგრამ თუ შემთხვევა ეძლეოდათ, ისევე თავს ენებებდნენ; ამისათჳნ შეიყარნენ, დაეწყოთ, თუ როგორ დაემკვიდრებინათ ეს სალხი ახალ სარწმუნოებაზედ. ამ რჩევაში გადაწყვიტეს, ახლად მონათლულები ვინც იყვნენ, წასულიყვნენ იმ სოფლებში, სადაცა იდგნენ მდიდარი ქრისტიანი მებატონეები, რომელნიცა უნდა ცდილიყვნენ ამათ დამკჳდრებას სარწმუნოებაზედ. იმათში იყო ერთი მდიდარი სოფლის მებატონე, ხრამატია, გადაწყვიტეს, ეს უნდა წასულიყო თავის სოფელში, იქ უნდა წაეყვანა რაძდენიმე, ესწავლებინათ სარწმუნოების უჴირველესი ჴსწავლა, უნდა მოეკრიფათ ფული, მიეცათ ლონის ძიება როგორც ცხოვრებისათჳს, ისე წასასვლელად. იმათში ყველაზედ მეტი მეცადინეობა გამოიჩინა, ერთმა, რომელსაცა ერქვა ტარკვატო და რომელიცა იყო მონათლული იმ ასლოს დროში სებასტიანესაგან. ში-

დენს შეკრებილებაში, ისე მჭევრ მეტყველობით ლაპა-
რაკობდა, რომ ყველანი გაკვირდნენ; ბოლოს ისეთს
გრძნობაში მოვიდა, რომ თავს გაძოიდო წასულიყო
და კერპების ტაძარში იუპიტერ ღმერთა გადმოეგდო
და დაემსხვრია. სხვებმა ეს წინ დაუხედაობა დაუშა-
ლეს და არ გაუშვეს. ამ ახლად მონათლულებს უნდა
გაჭოლოდა მღვდელი ჰოლიკარპე, სებასტიანე უნდა
დარჩომილიყო რომში, დაეცვა ქრისტიანები და ცდი-
ლიყო მოექცია კერპები ქრისტიანობაზედ. ბოლოს,
გაათავეს და ყველანი დაიშალნენ. სებასტიანემ გააცი-
ლა პანკრატი თავის სახლამდინ.

— მეარ მომწონს ტარკვატ, უთხრა პანკრატიმ სე-
ბასტიანეს, მეშინიან ეს ჩუწნი საიდუმლოება თავის წი-
ნდაუხედიობით, არ გაამხილოს.

— მეც მეშინიან სწორეთ კითხრა, მიუგო სება-
სტიანემ.

როდესაც მიახლოვდნენ გალავნის კარებს, შემოესმათ
სიცილი, უცხო ენებზედ ლაპარაკი და ყვირილი, ერ-
თის მეზობლის ეზოთგან, სადაცა იდგა მავირიტიანე-
ის მშვილდოსანი ჯარი, დიდი ცეცხლი ენთო შუა ეზ-
ოში, ნაპერწკლები სცვიოდნენ და ანათებდნენ სასახ-
ლესა. სებასტიანე მივიდა და ეარაულსა ჰკითხა, თუ

რა ანბავი იყო მშვიდობსნებში.

— ერთი ვიდაცა შავი მკითხავი დედაკაცი მოვიდა, ის დედაკაცი თხოვდება იმ ჯარის კაპიტანზედა. ამაღამ იმ დედაკაცმა რაღაც ცირემონია მოახდინა, თავიანთ ქვეყნის ჩვეულებით და თავიანთ სარწმუნოებისა, ის არის მიზეზი, ასეთი უვირილი და სიცილი რომ არის. როდესაც მოდის ის დედაკაცი აქ, ეოვალთვის ეს ანბავი არის.

— რა სარწმუნოებისანი არიან ეგ კაცები? ჰკითხა ჰანკრატიმ.

— ვინ იცის? უთხრა გვარდიელმა, იქნება ქრისტიანებიც იყვნენ.

— რაზედა ფიქრობ მაგას? ჰკითხა სებასტიანემ.

— ყველანი ანბობენ, ქრისტიანები ღამით იკრიბებიან, მღერიან ცუდ სიმღერებს რაღასაცა, ახდენენ ცუდს ანბავებსა, თითქმის ქურდამენ კიდეც, ცეცხლშიაც კი სწვამენ ჰატარა ყმაწვილებსაო!

როდესაც სებასტიანე ჩასახლითგან გამოვიდა, აღელებულის გულით და გულს მოსულმა, მიუბრუნდა ჰანკრატის.

გაიგონე? ჰკითხა იმას. რაებსა ლაპარაკობენ ჩუჩ. ნზედ მაშინ, როდესაც რომ ჩუჩნის სარწმუნოების ჭს-

წავლით, დავდივართ მოწყალებაზედ, სიბრალულზედ და მოყვსის სიყვარულზედ. იმითი არ არიან კმანი ჩუენნი მტრები იმითი, რომ ჰირუტყვებს გვაწყენინებენ, გვახრჩობენ, გვანჯამენ შანდებით და, ცილებსაც უცნაურს გვიგონებენ. უკეთესი არის შებორკილება, სიკვდილი, ტანჯვა, ვიდრე აიტანოს კაცმა ამისთანა ცილები.

— მოვითმინოთ უნდა, უთხრა ჰანკრატიმ. მოვა ჩუენნი რიგიც, და ჩუენ ცაზედაც აღმოჩნდება სიმართლის ბრწყინვალე მზე. ადრე იქნება თუ გვიან ჯეშმარიტება ავს მოქცევა და მოიფინება ქვეყანაზედ ის განფანტავს სინელესა, დაინახამენ და გაიგონებენ ისინი, ვინცა ახლა ბრმანი და ყრუნი არიან. ჩუენ უნდა გვახსოვდეს მაცხოვრის სიტყვები: მამაო, მიუტევე, რამეთუ არა იციან, რასა სჩადიან!..

— რასაკვირველია, ის სალდათი ანბობს თავისის უსწავლელობით და უცოდვინარობით, სხვის სიტყვებით. მაგრამ ამ ანბავებს ვინცა აგდებს ხალხში იმათ იციან ეს სიცრუე, ეს მოგონება, სოქუა სებასტიანემ. ძნელია ეს დარწმუნებული ხალხი დააჯერო, რომ ეს მოგონება სრულებით ტყვილია. სიტყვით ეს შეუძლებელია, აქ უნდა საქმით, მოქმედებით. კაცი რამდენიც ეძლევა

თავის სარწმუნოებისთჳს სიკვდილსა, იმ დენი ხალხი უფრო თანაუგრძნობს და მზათ არის იმათ შეუერთდეს.

ჰანკრატი ამ აზრზედ თანახმა შეიქნა. ისინი მიდიოდნენ ჩუმათ, ბოლოს ჰანკრატიმ სქთუა!

— სებასტიანე, შემიძლიან გკითხო ახლა?

— რასაკვირველია, მიუგო სებასტიანემ.

— ახლა მითხარი, რომ გმირული სიკვდილი, ბევრს მოარბილებს და ბევრს მოაქცევს. ამასთანავე, განწირულს დროში, არავინ უნდა მოშორდეს ერთმანერთსაო, ამალამ კრებაში კი აღვიარე ქალაქში დარჩენა და ქრისტიანების მფარველობა. ეს ორი აზრი, ერთი მეორეს ეწინააღმდეგება.

— ეგ ძრიელ ადვილი ასახსნელია, უთხრა სებასტიანემ, ჩუჩნი ღვდლები და მასწავლებელნი, რომ იციან მე სასარგებლო ვარ, მინახამენ და მიბრთხილდებიან, საქვეყნოდ სარგებლობისათჳს. მე მორჩილი ვარ იმათის ბძანებისა. ყველას ერთად ბძანებლობა არ შეუძლიან, ერთი უნდა იყოს მბძანებელი. მე უნდა ვიყო სიბრთხილით იქამდინ, მინამ ჩემი სიფრთხილე აღრ გამოჩდნება. ყველამ უნდა ვიცოდეთ რომ დღეს არის თუ ხვალ ჩუჩნი ეს საიდუმლო მოქმედება გამოაშკა-

რავდება და მაშინ კაცმა თავისი თავი ალარ უნდა დაზოგოს, უნდა მოკვდეს გაბედვით და გულდამშვიდებით. ჩუენ არ უნდა ვზრუნავდეთ. ჩუენი საქმე ის არის, ვმორჩილებდეთ მინამ ჩუენი მორჩილება საჭიროა და როდესაც განწირულებითი დრო მოვა, მაშინ თავები უნდა დავვზდვათ, ხომ გესმის ახლა?

— სრულებით მესმის, გამბედაობა სიკვდილზედ, სარწმუნოებისათუს, ათასჯერ უკეთესია, ვიდრე დიდებით სიცოცხლე.

ისინი მიასლოვდნენ ჰანკრატის სასლსა და გამოეთხოვნენ ერთმანერთსა. ორივემ იცოდნენ ერთმანერთის ფასი და ორივემ იცოდნენ ბეჯითად, რომ მოსულიყო საშინელი წამი.

№ 11.

ახლა უნდა ავხსნათ ზოგი ერთი რამ. იქნება ბევრნი ფიქრობდნენ, ქრისტიანობის ისტორია ვისაც წაუკითხავს ჰირველს საუკუნების დროში, რომ ჩუენს ეკლესიებს ყოველთჯს ზდევნიდნენ და ყოველთჯსა სტა-

ნჯავდნენ ქრისტიანებს, სადაც მოხვდებოდათ. არა. რაც უკაზები გამოდიოდა რომაელების იმპერატორებისაგან ქრისტიანებზედ ჰირველად, ძრიელ სასტიკნი იყვნენ, მერე და მერე, იმათი სასტიკი მოქმედება სუსტდებოდა, რადგანც ზოგნი ერთნი ახალნი იმპერატორები უმსუბუქებდნენ ქრისტიანებს კანონებსა, ზოგჯერ რადემიმე წელიწადი ერთმანერთზედ ქრისტიანები მოსვენებაშიაც იყვნენ და თავისუფლად აღვიარებდნენ თავიანთ სარწმუნოებასა, მაგრამ უცებ ნასვიდით, რომ კანონებ შეცვლიდნენ და დაუწყობდნენ უცებ სასტიკს დევნილებასა, საშინელს მუსრას. როდესაცა ხედავდნენ ქრისტიანების ტანჯვით სიკვდილსა და იმათ საკვირველს მოთმინებასა, ბევრნი კერპნი ინათლებოდნენ, მაგრამ ბევრნი კერპთაყვანის მცემელნიც ტაძს უკრავდნენ და უსარგებლათ, როდესაც ქრისტაანებს, უიარალოს, მიუყრიდნენ დიდ მეიდანზედ მძვინვარე მრეცებსა იმპერატორძა ტრაიანემ დაადგა ქრისტიანებში გულმოწყალეობის სახელი, მაგრამ იმანაც კი მოსცხო ჩირქი საბრალო სალხსა. მართალია იმან არ გამოსცა ახალი კანონები ქრისტიანების სატანჯავად, მაგრამ მოსამართლენი მაინცა ხდევნიდნენ ყველგან საბრალო ქრისტიანებსა. როდესაც გიფანიის გამგებელმა ჰლინიოზმა, მოახსენა

ტრაიანე იმპერატორს თუ როგორ მოქცეოდა ქრისტიანებს, მაშინ იმან პასუხად შეუთვალა, რომ თავი დაენებებინა იმათ დევნილებისთჳს და თუ ვინმე რასმეს მოაბრალებდა იმათზედ, მაშინ სასტიკად დაესაჯა. მოხვდებოდა ზოგჯერ რომ ქრისტიანები თავისუფლადა სცხოვრებდნენ რომში და მოხვდებოდა დიდ დევნილებაში იყვნენ. ზოგჯერ რომ ძალიან გაუჭირდებოდათ ქრისტიანებს ათასობით მიდიოდნენ და სხუა ქვეყნებში ასლდებოდნენ მაგრამ იქაცა სდევნიდნენ, ზოგჯერ ჩადიოდნენ და კატაკომბებში იმალებოდნენ.

ეს ანბავი რომელსაცა აქ უანბოთ მკითხველებს იმ დროს იყო, როდესაც უფრო შელავათით სცხოვრებდნენ ქრისტიანები და როდესაც ადვილათ შეიძლებოდა ეს სარწმუნოება გავრცელებულიყო. იმპერატორის ვალერიანეს კელმწიფობითგან, ოცდ თოთხმეტს წლის განმავლობაში, ქრისტიანები სცხოვრებდნენ თავისუფლად და შეეძლოთ გაემართათ თავიანთი საზოგადოება. რომის ქალაქი იყო გაყოფილი ნაწილებად, ანუ პრისოდად. ყოველს პრისოდში იყო თითო ეკკლესია, ერთი მღუდელი, ერთი მთავარი და ეკკლესიის მგალობელი. ისინი ეწეოდნენ ღარიბებსა, დახედავდნენ ავათმყოფებს, არიგებდნენ ახალად მოქცეულებს; ამ საგანზედ იკრი-

ფებოდა ფული ქრისტიანებისაგან, ვინც რომელს ჰრიხოდს ეკუთნოდა. 250 წელსა, ქრისტეს დაბადების შემდგომს, იყო 46 ჰრიხოდი. თითო ჰრიხოდში ინახებოდა საზოგადო ფული, ათას სუთასი ლარიბი სული. როდესაც ქრისიანებს არა სდევნიდენ, ეკლესის კარები ოაკისუფლად იღებოდნენ და ოაკისუფალი წირვა ლოცვა იყო; კერპთაყვანის მცემლები ბევრჯელ შედიოდნენ, რა არის შეეტყოთ, თუ რა სარწმუნოება იყო და ბევრჯერ ეურს უგდებდნენ ქადაგებასა, ქრისტიანები არ უშლიდნენ რადგანაც იმათი სურვილი იყო, ეგები ესენიც მოქცეულიყვნენ, მართლადაც ბევრნი ინათლებოდნენ. ვინც მდიდარი კაცი იყო, იმას ეკლესია სახლში ჰქონდა და მღვდელიც საკუთარი ჰყოლდა, უფრო მეტი ეკლესიები იყო კატაკომბებში, დედამიწის ქვეშ ქალაქ არეთ, სადაცა ქრისტიანები იმალებოდნენ და იქ ჩუმათ წირვა ლოცვას ისმენდნენ იმ დროს, როდესაცა მთავრობა სდევნიდა ხოლმე. ადრინდელი დროს ქრისტიანებმა ძრიელ იცოდნენ საიდუმლოების შენახვა, ისინი საკუთანი იყვნენ ძრავლის კეთილმოქმედებით, ისინი სცხოვრებდნენ მრთელი წლობით საზოგადოებაში და არ იცოდა ვინმემ თუ ქრისტიანი იყო, თუ არ ასლონათესაგმა, რომლისაგანაც გაცემა შეუძლებელი იყო. ქა-

ლი წმინდად ინასავდა დედის საიდუმლოებსა, და რა ალვიარებდა იმასთან ერთს სარწმუნოებასა, სიყმაწვილითვე შეჩვეული იყო სიმრთხილით მოქცეულიყო, და არავისთვის შეეტყობინებინა, თუ ქრისტიანი იყო. ეს სიბრთხილე ძრიელ საჭირო იყო, როგორც ქრისტიანობის გასავრცელებლად, ისე თავიანთ თავის დასაცველად, როდესაც ამ ანბავსა ვწერთ, იმ დროს ხმა გამოსულიყო რომ დიდი დევნულობა უნდა შეექნეს კეისრის ბძანებით ქრისტიანებზედაო, ქრისტიანები შეწუხდნენ და მოელოდნენ საშინელს დღეებს. ისინი დღე მუდამ ლოცულობდნენ და სთხოვდნენ ღმერთს მოეცა სულის სიმტკიცე და გულის სიმაკრე, რომ გაბედკით ავტანათ ტანჯვითი სიკვდილი სარწმუნოებისათვის.

აფრას რჩევამ, რომელიცა მისცა კორვინიას, ტუვილუბრალოთ არ ჩაიარა. აფრას სძულდა ქრისტიანები იმის მიზეზით. თითონ იყო ანგარების მოყვარე, ბოროტის გულისა, და რასაკვირველია კეთილი ადამიანი ეზიზღებოდა. ამას გარდა ამასა სძულდა სირა, ამისათჳს რომ მართალს ლაპარაკობდა, როდესაც ჴკითხავდნენ რასმეს.

კორვინია შეხვდებოდა ხოლმე ფულვიას აბანოებში და ცდილობდა გაეცნო. რომაელებს უყვარდათ დიდი

ხეების ქვეშ შეერა და ლაპარაკი, კორვინიმ დაინახა შორითგან ფულვია და მივიდა ახლოს.

ფულვია, როგორცა ვთქვით იყო ლამაზი, ეცო კოხტად და სახელი მდიდრისა ჰქონდა გავარდნილი. რომ დაინახ კორვინია, უბრალოთ ჩაცმული, და რომ ნახა არ ეკუთნოდა დიდი კაცების საზოგადოებასა, გაჰკვირდა იმის მოსალმებაზედ და პასუხი მოსცა იძულებით.

— რა გნებავს?

— მე მსურს მოგელაპარაკო. უთხრა კორვინიმ. ჩუენ ორთავე შეგვიძლან სარგებლო გამოვიტანოთ.

— იმისთანა რა შეგიძლიან მითხრა, რომ სარგებლობა მომცეს, შენ თუ მოგცემს სარგებლობას.

— მე შენი უადრი კაცი არა ვარ არაფერში, უთხრა კორვინიმ, მაგრამ ეს კი ვიცი რომ ჩუენ ორნი ვენი ერთის ხელობისანი ვართ.

ფულვია შეკრთა შემდეგ გული გაიმაგრა და წარმოსთქო,

— რი გინდა, მე შენ გკითხავ?

— მუშტით რას მემუქრები, რომ გაბრთხილდე ის გირჩევნია.

ეს უთხრა კორვინიამ და ეურში წაუჩურჩულა ფულვია.

—მე ვიცი, რომ შენ კეისრის მუხანათი ხარ.

ფულვია გაქვავდა, მერე კიდევ გული შეიმაგრა და ჰკითხა ცივად..

— რა უფლებითა მწამებ შენ მაგას?

— ამისათვის რომ შენ ჭონდა შეთქმა ალმოსავლეთში და ასლა დიოვლიტიანეს ღალატობ.

— შენ ვინა ხარ, რა გქვიან შენ? ჰკითხა ფულვიამ.

— მე ვარ კორვინი, რომის მსაჯულის ტერულლიას შვილი.

— ნუღარას იტყვი, შორითგან მცნობები მიუურებენ. ხვა ადრიან ამ ალაგს მოდი და აქ შეგვიძლიან თავისუფლად მოვილაპარაკოთ.

მეორეს დილას კორვინია მოვიდა ძველის ტანისა. მოსით დანიშნულს ალაგს.

— გამარჯობა ამხანაგო, უთხრა ფულვიამ, მგონია გალოდინე.

—მართალია მალოდინე მაგრამ ამ ლოდინში ერთი ანბავი ვნახე, აქ ერთს დიდს სახლში, ერთის კარითგან შედიოდნენ საბუარნი და მეორეს კარებითგან მდიდრები, რალაც ანბავი უნდა იყოს იქა.

— ვისი სახლია ის სახლი? ჰკითხა ფულვიამ.

— ეს სახლი არის ერთის მდიდარისა, რომელიცა თურმე ძალიან მუნწია.

ამ დროს ერთმა მოხუცებულმა, რომელის ველი ეჭირა ერთს ემაწვილს ქალს, გამოუარა წინ და ესეც იმ სახლში შეეიდა.

— ეგ ქალი უსინათლო არის, სთქვა ჩუეეიან, ვერ შენიშნე როგორ სიბრთხილით მიდიოდა.

— ერთი კიდევ შესანიშნავი ეს არის, ეს სახლები აგნესასი არის, მდიდარის კაცის შვილისა და რაღაც ანბავი უნდა იეოს, მოდი გავერიოთ ჩვენცა ხალხში, შევიდეთ და შევიტეოთ რა ანბავია.

ესა სთქვეს და ორივე გაშორდნენ, ერთი წავიდა ერთის კარებისაკენ შერსვილელად და მეორე კარებისაკენ.

აგნესას გვარი ეკუთნოდა დიდის მდინარის და დიდის კაცის რომის სახლობასა, დიდი ხანი იეო, აგნესას სახლობას ქრისტიანობა მიეღო. ბევრნი იმისის სახლობისაგანი მისცემოდნენ სარწმუნოებისათეს ტანჯვითს სიკვდილსა და მრთელი სახლობისაგან, მარტო აგნესაღა დარჩენილიეო, მრთელი ოჯახის იმედიის იეო, არ შეიძლებოდა ადამიანს ის არა ჭეარებოდა. იმასა ჭქონდა მინიჭებული ეოველი კეთილი ნიჭი

ზეცითგან. ის იყო მშვიდი, კეთილი, ნაზი, მორჩილი, თავდაბალი და ამასთანავე გონიერი. სახლში, როგორც სახლობას, ისე მრთელს მოსამსახურებას უყვარდათ ის, იმახ არ უყვარდა, არცა შექცევა, არცა აქა იქ სიამოვნებაზედ სიარული, მხოლოდ უყვარდა მეუდროებით ცხოვრება. თავის სახლში არ იყო მდიდრული ცხოვრება, არცა მდიდრული მორთულება; იქ იარებოდნენ მრავალნი სახლის მეგობრები და მცნობნი, მაგრამ მხიარული: სტუმრობა იმის სახლს არ უყვარდა, რომელზედაც ბევრი ფული იბნევა, ყველაზედ მეტად აგნესა დადი და ფაბიოლასთან, რომელსაცა ძრიელ უყვარდა, რომის საზოგადოება აგნესას სახლობის ამ გვარად ცხოვრებას, მიაწერდა იმათს სიძუნწესა, ეს აზრი ამითი უფრო მტკიცებოდა, რომ ნახევარი სახლები იმათი იდგა ცარიელები და იქამდინ ყურადღებას არავინ აძლევდა, რომ გარეთგან თითქმის სულ იქცეოდა. რომ გაივლიდი დიდს გალავანსა, და ბაღსა, დიდროანის ხეებით დაბურულს, რომელიცა დაგდებული იყო უყურადღებოთ, შეხვიდოდი დიდს ზალაში, იქ იყო გამართული ეკლესია. ამ ეკლესის უკანა მხრივ იყო კიდევ ოთახები, სადაცა სცხოვრებდნენ გლასაკნი, ან კიდევ მიიღებდნენ ხოლმე იქ, უცხო ქვეყნითგან მოსულთ

ქრისტიანებსა. ამ ოთახების ზემო ეტაჟაში იყო დიდი ოთახები, სადაცა ინახებოდნენ ღარიბი ავათმყოფები, მოხუცნი, კაცნი, დედაკაცნი და საბუარნი. ამათ უფლიდნენ ის ქრისტიანი კაცნი და დედაკაცნი, რომელნიცა მიზდევდნენ მხოლოდ კეთილს მოქმედებასა. ამ ოთახებთაგანში იდგა ღარიბი უსინათლო ცეცილიაცა, რომელიცა გავიცანით ფაბიოლლას სახლში, და რომელმაცა გამოუარა ერთის მოხუცებულის კაცით, კორვინის და ფულვიასა. ამ შენობაების და ბაღის სულ იქით მხრივ იდგა აგნესა, თავის მოხუცებულ მშობლებით: იმ დროს, როდესაც რომის ქალაქის საზოგადოება იძახდა ერთის სმით, აგნესას სახლობა ძუნწიაო, ის ძუნწი, თავიანთ ქონებას და მრთელს შემოსავალს აბნევდნენ უხვად ქრისტიან ღარიბებზედ და საწყლებზე. აგნესას სიუმაწვილითვე ასე იყო შეჩვეული, რომ ყოველ დილით, რამწავს ადგებოდა, მაშინვე დახედავდა თავიანთ სასლებში მდგომთ ღარიბებს და ავათ მყოფებსა, სადაცა დარჩებოდა რამდენსამე საათსა. ღარიბებს და საბუართ დიდად უყვარდათ ის, არც შეიძლებოდა არა ჰყვარებოდათ თავიანთ კეთილის მოყოფები? ის გამოემცხადებოდა იმათ, როგორც ნუგეშინის-მცემელი ანგელოზი; ურიგებდა ყოველის-ფერს, რაც კი

რამა ჰქონდა; ყველას ემორჩილებოდა და ყველას ელ-
აპარაკებოდა კეთილის სიტყვებით.

იმ დილით, აგნესას მშობლების სახლში უნდა და-
რიკებულიყო ღარიბებთათჳს ის სიმდიდრე, რომელი-
ცა ეკუთნოდა ჰანკრატის, თუმცა სებასტიანეს მეტმა
არავინ იცოდა, სახელი შემწირველისა. ამ მიზეზით,
რომის ქალაქის ყოველის ქუჩებითკენ იკრიბებოდნენ
ქრისტიანი ღარიბები. ერთს ღარიბებს წყობაში შეარ-
ივა კორვინიაცა, როდესაც მიადგა სახლების კარებს,
იმან გაიგონა, ვინც შედიოდა წარმოსთქუამდა: ,,ვაქებ-
დეთ ღმერთსა!,, და შეუშვებდნენ სახლში. კორვინიმ
განგებ წარმოსთქუა ეს სიტყვები და ისიც შეუშვეს,
იმ გალავანში, რომელიცა საკვსენი იყვნენ ღარიბებითა
და საბუარებითა, კაცები დგებოდნენ ცალ მხარეზედ და
დედაკაცები ცალზედ, ჰირ და ჰირ იდგა გრძელი სტ-
ოლი, რომელზედაც ეწყვნენ დიდ ძალი ვერცხლეულე-
ბა, ოქრო, თვალი და მარგალიტი, ქალის სამკაულე-
ბი. ორნი ოქრომჭედლები იდგნენ, სწონავდნენ
და აფასებდნენ. მეორე დიდ სტოლზედ ეწყო ფულები,
გაყიდულის ნივთებისა, ამ ფულებს ურიგებდნენ იქ
მყოფთ ღარიბთ და საბუართ თანასწორედ. კორვინი სი-
შურით უყურებდა იმ ფულების გროვასა, თვალსა და

წრეს, რომელიცა აქ მოწვეულნი არიან. სადა სცხოვრებ?

— ანტის და სემიტის ქუჩაში, მიუგო კორვინი.

რომელიც ქუჩა ამან დასახელა, ამ ქუჩაში ქრისტიანები სრულებით არ იდგნენ. ამ ეასუხმა დაარწმუნა დიაკვანი, რომ ეს კაცი ქრისტიანი არ იყო, მაგრამ მაინც დიაკვანი არ შეშინდა და მშვიდობიანის ხმით მიუგო:

ალტის და სემიტის ქუჩა ჩემს ნაწილშია, მაცრამ შენკი მე ვერ ვიცნობ. ამ დროს კორვინის მკვდრის ფერი დაედო. დიაკონი მივიდა და ჰკითხა ეანკრატის, ის ხომ არ იცნობდა ამ კაცსა. ეანკრატიმ რამწავს კორვინის შესედა, მაშინვე იცნო, იმან სთხოვა დიაკვნებს ჩამოსცლიყვნენ, რომ ცალკე მოელაპარაკნა იმასთან; ეანკრატისათჳს ეს კორვინის ნახვა, მეორე შეხვედრა იყო.

— კორვინიავ, უთხრა ეანკრატიმ, ნუთუ იმის თანა სიღარიბეში ჩავარდნილხარ, რომ შენც მოწყალებას თხოულობ? რათ კოჭლობ?

— რაო, გიამებოდა განა, რომ სიღარიბეში ჩავარდნილიყავ, არა, ჯერ ისე საქმე არ გამჭირებია.

— შენ ძრიელა სცდები, მე არაგისათჳს მსურს

ბოროტი უეო, სთქუა ჰანკრატიმ, თუ გსურს შემწეობა, მე მითხარი და თუმცა ნება არა გაქუს აქ ყოფნისა, შეგიყვან ცალკე ზალაში და მოგცემ რამდენიც შენთჳს საჭიროა.

— მე აქ შემოველი ხუმრობით, უთხრა კორვინიმ, ახლა კი სწორე გითხრა, მინდა როგორმე გავიდეგამაცილე.

— თუ ეგ აგრეა, შენ დანაშაული გაქვს, უპასუხა ჰანკრატიმ. შენ შეურაცხება მოაყენა ამ სალხის ჰატრონსა. რას იტყოდა მამა შენი, რომ უთხრა ახლავე აქა, გაგიყვანონ ძალათ და მიგიყვანონ მამა შენთან ძაგძონში ტანისამოსით? ხომ იცი სახლის ჰიტრონის ნება დაურთავათ შემოსვილა, დანაშარლება არის დიდი,რომლისათვისა კანონი სასტიკათა სჯის? ჩუენ უფლება გვაქუს. მიქცეთ სამართალსა.

— ნუ დამღუპავ! წარმოსთქუა შეშინებულმა კორვინიმ; ნუ შემარცხვენ, ნურც მე და ნურცა ჩემს დედამამას; მამაჩემი ამ შეურაცხებას ვერ აიტანს. კეკედრები, დაივიწყე ჩემი ძველი შენთან ჩხუბი, იყავ სულგრძელი!

— მე ეგ ჩხუბი დიდი ხანია დამავიწყდა, მაგრამ აქ მოოფთ ყველამ შეიტყეს შენი შემოსვლა აქ, ნებადა-

ურთავათ. საჭირო რომ შეიქნეს, ამაზედ ყველანი გვი-
მოწმებენ. ნურა ვის ეტყვი, თუ აქ იყავი შენ. გესმის
თუ არა?

— დიახ, დიახ, მესმის, მინამ ჰირში სული მიდგა,
არსად გავახსენებ; ან ვინც არიან აქა და რისათჯსაც
შეურილან. გეფიცები . . .

— საჭირო არ არის ფიცი, მაგრამ მოიგონე კი
ეს, რომ თუ სადმე გითქვამს რამე, მაშინათვე სამარ-
თალს მიგცემთ. ახლა მამეკვი.

მერე მიუბრუნდა ჰანკრატი და იქ გარს მეოფთ უთ-
ხრა.

— მე ვიცნობ ამ ყმაწვილს კაცსა, ეს აქ შეცდო-
მით შემოსულა.

კარების მცველები ჩამოეცალნენ და გამოუშვეს გა-
რეთ, როდესაც ისინი ქუჩაში გამოვიდნენ, ჰანკრატიმ
უთხრა.

— გახსოვდეს აღთქმული!

როდესაც აქ ეს ანბავი მოხდა, ფულვიამ, მეორე
მზვერავმა, დაინახა რა რომაელთ ჩვეულებით დიდი
კარები სახლებისა ღია, შევიდა იმასში. კარებთან იჯდა
თორმეტის წლის ქალი, სოფლის ტანისამოსით. ის
იყო მარტო და ფულვიამ იფიქრა, ამას გამოვკითხავ

აქაურს ანბავსაო.

— რა გქვიან შენ სახელათ? ჰკითხა ქალსა.

— ტერენცია, მიუგო იმან, მე აგნესასთან ერთის მუმუთი გარდილიკარ.

— ქრისტიანი ხარ?

— არა ბატონო.

ამ ქალმა ისე გულწრფელობით მიუგო, რომ ფულვია დარწმუნდა, ეს ქალი იყო, აგნესას მიჰის შჯლი, რომელსაცა დედა ისაის იყო მოჰკვდომოდა, აგნესამ ჩამოაყვანინა სოფლითგან და უპირებდა გაზრდასა. ის იყო, იმის წინა დღეს ჩამოყვანილი, არაფერი არა ესმოდა-რა ჯერ და გაჰკვირდა ფულვიას კითხვაზედ. ფულვიამ ალარ იცოდა, კიდევ შიგნით შესულიყო, თუ გამოსულიყო უკან. ამ დროს აგნესამ მხიარულებით წინ გამოუარა და როდესაც ფულვია დაინახა, შედგა, ფულვიამ ლიმილით დაუწყო ლაპარაკი.

— მე მსურდა ცოტა ადრე მოვსულიყავი და ჩავწერილიყავი შენ ხელთქვეშ მეოფთ სიაში, მაგრამ იცი უცხო ქვეყნელი ვარ.

— ჩუენი ოჯახი განთქმული არ არის იმ სახელით, რომ აქ ხელქვეითნი მოიპოებოდნენ, მიუგო ლიმილით აგნესამ.

— მომიტევე! ღუთიური არსება განაგებს თქუენს სახლზედ.

— მე არ მესმის სრულებით რას ანბობ?

— მე ვანბობ შენ მშვენიერებაზედ! შენზედ ვანბობ მშვენიერო აგნესავ და გთხოვ მერწმუნო. მიუვარხარ გაგიუბით და მიკვირს შენი სილამაზე.

აგნესამ, ეს საზიზღარი სიტყვები რომ გაიგონა, მაშინვე შორს გადმოდგა და შიშის ზარ დაცემულმა, ორივე ხელები მიიფარა თვალებზედ. ამ დროს მოვიდა სებასტიანე, ის ყურს უგდებდა და სიანჩხლისაგან თვალები უელამდნენ. მშვიდი და წყნარი აგნესა, უფრო შეშინდა, როდესაც სებასტიანე დაინახა ასე ძრიელ გაანჩხლებული.

— თავი დაანებე გავიდეს, გთხოვ, ეკვედრები! უთხრა აგნესამ სებასტიანეს, და თითონ შეეარდა სახლში.

სებასტიანე მიუახლოვდა ფულვიას. იმან შეხედა გაჯავრებით ფულვიას და შეუძახა:

— აქ რას აკეთებ? რისთვის მოხველი აქა ფულვიავ?

— შენ რიღისათვისა ხარ აქა? მიუგო ფულვიამ.

— მე ახლო მცნობი ვარ ამ ოჯახისა, მიუგო სებასტიანემ, და სრული უფლება მაქუს აქ სიარულისა.

— მეც აგნესას მცნობი ვარ ბ მოეფლი.

— ამ ადრიან დილით მისვლა არ შეიძლება, არსად, თუ ახლო ნახლის მეგობარი არ არის. მაგრამ თავი დავანებოთ ამას, როგორ გაბედე, გასათხოვარს ქალს ეუბნებოდი იმ შეურაცხყოფის სიტყვებსა?

— განა იჯვნეულებ ჩემზედ, მიუგო ფულვიამ. ეგ სასაცილოა! მე მითხრეს ვითომც შენ ფაბიოლლასა თხოულობ, მდიდარს ქალს, ახლა კი გამოდის, რომ აგნესას შერთვა გდომებია, თუ ერთი უარს გეტყვის, ეს მეორე ხომ აქ არის, არაუშავსრა, ორნივე მდიდრები არიან.

სებასტიანე აენთო. ის იყო ემაწვილი კაცი, კეთილშობილი, ანჩხლის ხასიათისა, თუ ეწყინებოდა რამე და მოთმინებითგან გამოვიდოდა. ამ სიტყვებმა ძრიელ გაანჩხლეს, მაგრამ თავი შეიმაგრა და ცივად უპასუხა

— მე ბევრს არ გელაპარაკები შენ. ამ სახლის პატრონი გასათხოვარი ქალია, ეს ამისი ბძანებაა. თუ ნებით არ გახვალ ძალათ გაგმიყვან.

•მან მოჭიდა ფულვიას ხელი და გაათრია კარებში, გააგდო და რამიუკეტა, შეუძახა:

— წადი მშვიდობით და დაიხსოვე, რომ შეგვეძლო სხვა ფრიე შეგვექცია, ესეც გასხოვდეს, რომ ვიცი რომში რასაც მოქმედებ. შემიძლიან დაგღუპო, მაგრამ არ მინდა.

ამ დროს ქუჩაში მოვიდოდა ევრატისი. იმან შეიტყო აფრასაგან, რომ ფულვია წასულიყო კორვინისთან სანახავათ და ამისათვის თვალყურს ადევნებდა. უცებ მოუვარდა სებასტიანეს კარებში უკანითგან, მაგრამ სებასტიანე ღონიერი იყო, ისინი შეეჭიდნენ ერთმანერთსა, ევრატისმა იტაცა სანჯალს ხელი და უნდოდა დაეკრა უიარაღო სებასტიანესათჳს, მაგრამ უცებ რა მიეარდა სებასტიანე, აიღო მაღლა ⁊ ეს ამოდენა კაცი რა გააგდო გარეთ, დასცა ორივე ხელით მაგრა მიწაზედ.

ფულვია ⁊ ევრატოსი განშორღნენ ⁊ რამდენიმე ბიჯი რომ გადადგეს, სებასტიანე ისევე აგნესას სახლში შევიდა.

X.

როდესაც სებასტიანემ გააცილა ფულვია ⁊ მოიშო-

რა, ⰴ დაბრუნდა ისევე აგნესას სახლში, დაფასება და გაიდვა ჰანკრატის მვირფასის ქონებისა, გათავდა. ამ გვარი შეწირულება, იმ დროს სშირად იყო ხოლმე: როდესაც აუქციონში ამ გვარად ნივთები გაიყიდებოდა ხოლმე, რომლისამე მდიდრისა, მაშინვე ლარიბებს ⰴ საბუარებს დაურიგებდნენ, მაგრამ სახელი შემწირველისა ყოველთვის დაფარული იყო, არავინ იცოდა ვინ იყო შემწირველი, კერძთა თაყვანის მცემელნი, რომელნიც კი ხედავდნენ იმისთანა საქმესა, იკვირვიდნენ ⰴ ბევრნი ინათლებოდნენ ჩუმათ. ამ გვარ მაგალითს რომ ხედავდნენ მდი-არი ქრისტიანები, ზოგნი თავიანთ ქონების ნაწილსა ჭეიდდნენ და ქველის მოქმედებას ახმარებდნენ, ზოგი კი სულ ერთიანად ჭეიდდნენ რაც რამ ებადათ. ქრისტიანებმა არ იცოდნენ რა იყო სიღარიბე, რადგანც მდიდრებისა იმათი იყო ⰴ ავათმყოფებმა არ იცოდნენ უპატრონობა.

...დესაც შედგა ფული გასყიდულის ნივთებისა, შავიდა მღუდელი დიანოსე, ეს იყო არა მარტო მღუდელი, იყო ჰირველი ჭექიმიც, რომლისათჳსაც მიენდო ეპისკოპოზს ავათ მყოფებზედ მოვლა. დიონოსე ავიდა მომაღლო ალაგს ⰴ იქიდან მოჭვა ქადაგებას.

»საყვარელო ძმებო! ღმერთმან, თავისის კურთხევით,

შეარეია გული ერთის ქრისტიანისა, რომელიცა აძლევს თავის ქონებას იმათ, ვისაცა უჭირთ. ვინ არის ეს ქრისტიანი? მე არ ვიცი, არცა ვცდილობ შევიტყო იმისი ვინობა; ჩუენთჳს ესეც საკმაო არის, რომ ერთმა ჩუენ-ნაკანმა შეუდგა რა ქრისტეს სიტყვებსა, რომელმაცა ბძანა: »შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი. დაურიგე ღარიბთა ქონება შენი ⸗ შემოიდექ მე.» მიიღეთ ჩემო ძმებო, ფულები, როგორც ღუთისგან მოცემული; ამისათჳს რომ ეს ფული მოგეცემათ ზენა არსის სახელზედ ⸗ ილოცეთ იმისთჳს, ვინცა კეიმსხვერპლად თავისი ქონება.

მინამ დიონოსე ამას დაასრულებდა, ჰანკრატი იდგა, რცხვენოდა ⸗ უსაროდა კიდეც; გული უცემდა ⸗ იმალებოდა სებასტიანეს უკან! როდესაც ერთობ, ყველამ ღარიბებთა ⸗ საბერებთა, დაიჩოქეს, მოჰყვნენ ლოცვასა, რათა დაემკვიდრა საუკუნოდ სასუფეველში, შემწირველი, დაემკვიდრებინა აბრაამისა, ისაკისა ⸗ იაკობის წიაღში. ჰანკრატიმ ვეღარ მეიმაგრა თავი ⸗ დაიწყო ტირილი. რადგანაც ყველა ღარიბი ტიროდა, ამისათჳს იმისი ცრემლები ვერავინ შენიშნა. იმ დროს ქრისტიანების გული უფრო იყო წმინდა, ჩვილი ⸗ კეთილი, ვიდრე ჩუენი. ჩუენ ბევრი დავივიწყეთ, ბევრი დავკარგეთ ⸗ ბნერი იმ

ისთანა გვულს, რაც ქვეყანას კეთილს მოუტანს; ხშირად ვკითხულობთ სახარებას, მაგრამ გვავიწყდება ის კანონები, რასაცა ის გვასწავლის, ჩუენ კიდეც დაგვავიწყდა მღუთიური სიტყვა: »სარწმუნოება უსაქმოთ, მკუდარ არს.»

როდესაც ფული დაურიგეს ⰴ აღმოჩნდა მეტი იმაზედ, რასაცა ფიქრობდნენ, ლარიბნი დასსეს სადილზედ. მდიდარნი ემსახურებოდნენ იმათ. მღუდელნი აკურთხებდნენ, სახმელ-საჯმელს ⰴ როდესაც გაათავეს, შესწირეს ღმერთს მადლობა გალობით. ამის შემდგომს უველანი წავიდ-წამოვიდნენ. უსინათლო ცეცილლია მივიდა ერთს მოხუცებულ საბუართან ⰴ მიუტანა ჰარკით თავისი ფული, რომელიცა იმას ჰარკში ჩაუდო. ისე ჰარკით მოხუცებული შინ რომ მოვიდა ⰴ დათვალა, ნახა რომ თავის წილს ფულზედ, მეტი იყო, ასე რომ ერთი ორად. იმან იფიქრა, უთუოდ ეს შეცდომით მოსლოდათ ⰴ სხვის წილიც ამისათჳს მიეცათ, ის მაშინვე მივიდა მღუდელთან ⰴ მიუტანა ეს მეტი ფული, იქნება შესცდენოო. მღუდელმა არ მიიღო ⰴ უთხრა, ჩუენ თანასწორ გავუავით. შეცდომა არ მოგვსვლია ⰴ ეგ ფული უკან წაიღე შენთვისაო. მუხუცებულმა ილოცა დიდსანსს იმისათჳს, ვინცა მისცა თავისი წილიც იმას, ⰴ სიხ-

ხარულით დაბრუნდა შინ. რამდენიმე თვე სცხოვრებდა ეს მოხუცი მოსვენებით, მაძღარი ⸗ ტფილად ჩაცმული.

იტალიაში ოკტომბრის თვე ყველაზედ სასიამოვნო არის. მზე უფრო ბრწყინავს, არა სწვამს, ის მხოლოდ ატფობს ქვეყანასა. ის ანათებს მშვენიერად მთებსა, ⸗ აელვარებს რომის დიდებულს შენობასა, ის აელვარებს დიდრონი ხეების ფოთლებსა. ჰაერი არის იმ დროს უფრო ჩინებული, ყვავილების სურნელება ასიამოვნებს კაცსა, ატკბობენ დამწიფებულნი ათასნაირნი ხილნი, ⸗ ქარვის მზგავსი ყურძენი საამოდ იხილვება, იტალიაში ახლაცა ყურძენი იკრიფება. ოკტომბრის თვეში ჭკრეფენ ყურძენსა ⸗ ყველანი, ვისაც კი აქუს ბალებში, მიდის გულის დასატკბობად; ამ თვეში, მშვენიერი ⸗ კეკლუცი ფაბიოლლაც წავიდა თავის სოფელში, სადაცა ჰქონდა კარგი სამეოფი საზაფხულო სახლი, რომელიცა აშენებულიიყო მოძღლო სერზედ, საიდანაც დასცქერიდა მრთელს თავის ბალებს. სასახლე ჰქონდა მორთული მდიდრად ⸗ გემრიელად; წინ მარმარილოს ჭაუზითგან ამოქუხდა შადრევანი.

ფაბიას, რა უყვარდა ქალაქი ⸗ საზოგადოებაში დროს გატარება, აგრე ხშირად არ იარებოდა თავის

სოფელში, მაგრამ ფაბიოლლა კი, მრთელს, შემოდგომას იქ ატარებდა! აქ ჰქონდა იმას ბიბლიოტეკა ⁄ ყოველ წელიწადს უმატებდა ახალახალს წიგნებსა. დილით მარტო დაჯდებოდა ⁄ კითხულობდა, მაგრამ იმ წელიწადს, ეს ჩვეულება მოიშალა ⁄ იმის ნაცვლად, ესაუბრებოდა დილით ხოლმე მარტო თავის მოახლეს სირას. ფაბიოლლა იკვირვოდა, როდესაც შეიტყო, რომ არ მოინდომა განთავისუფლება, არ გაჰყვა აგნესას ⁄ ისევ მონობა ირჩია ფაბიოლლასი; ის ცდილობდა შეეტყო, თუ რა იყო მიზეზი, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო. ზოგჯერ ეგონა, რომ სირას ეს მოსვლოდა სულელობით, მაგრამ ამ ფიქრს დაარღვევდა, სხვა ფიქრი, როდესაც წარმოუდგებოდა სირას მშვენიერი ⁄ გონიერული ლაპარაკი. ფაბიოლლა თვალს ყურს ადევნებდა სირასა, მაგრამ სრულებით ვერა შენიშნარა, სირა ისევე ისე ერთგულად ემსახურებოდა, როგორც ადრე. ფაბიოლლას გული თან ⁄ თან მოურბილდა, ოან ⁄ თან გრძნობდა, რომ შეიძლება შეიყვარო ქალბატონმა მოახლეც, თავისი მონა, რადგანაც ისიც ადამიანი არის თავისებურად. ფაბიოლა დარწმუნდა კიდეც, რომ სირას უყვარდა თავისი ქალბატონი. თან ⁄ თან სირა შეიტყბო იმან ⁄ შენიშნა, რომ სხვა გვარად იყო განათ-

ლებული იმისი გონება; იმ სირაძ [illegible] კარგათ ბე-
რძნული ლ ლათინური, წაეკითხა ბევრი წიგნები, ფაბი-
ოლალამ უბძანა ეფროზინეს, სირა გაენთავისუფლებინა
ცუდ-უბრალო მოსამსახურეებისაგან, ძისცა ცალკე ო-
თახი ლ შეუკვეთა, მსოლო ეკითხნა წიგნები, რომლის
კითხვასა თვის ფაბიოლლას ეური უნდა ეგდო. სირა
ამითი არ გადიდუნდა, ის ისევე ისე გულჩივლი
იო, როგორც ადრე, ისევე ისე ამხანაგობას უწევდა
თავის ამხანაგ მოახლეებს, როგორც ადრე, თუმცა ისი-
ნი ამისი ღირსნი არ იყვნენ, რადგანც ყველანი ამისი
მტარები იყვნენ ლ ყველასა შურდათ.

როდესაც სირა უკითხავდა ხოლმე ფაბიოლლას
წიგნსა, ზოგჯერ მეიქნებოდა ბაასი ლ სჯა. ფაბიოლ-
ლას უკვირდა, როდესაც ზოგჯერ სირა იმისთანა საგან-
ზედ დაუწყებდა სჯას, რომელიცა თავის სიცოცხლეში
არ გაეგო. ერთსელ ფაბიოლლამ უბძანა სირას, წაეკი-
თხნა ხმა მაღლა ამისათვის ის წიგნი, რომელიცა ახ-
ალად აო გამოცემული ლ მოსვლოდა მამისგან. სირამ
გადაშალა, წაიკითხა ჩუმათ ერთი ფურცელი ლ ისევე
დაკეცა.

(ზოგი შემდეგში იქნება.)

ვარდი.

კაცნი მსახიამენ ყვავილთა მეფად,
არ ვიმოვნები მე აგრე იეფად,
ხელს გაუგმირავ, ვინც შემამახებს,
თუ გვერდს გამიკლის, ტანს შემოვასკვ,
შორს მიდის ჩემი საამო სუნი,
ათას ფერად ვარ-დილით ფურმჩნული;
გათენებამდის დამეფეს ბულბული,
ისე არს ეშხით გაგიჟებული.
სული ელეკვათ, გარს, ყვავილთ, ყველას,
ბევრიც უნდოდეთ, მაკლებენ ვერას.
მაგრამ ეს არის, მეც მომდის სთკელი,
რომ მხვდება სოფლის მკვეთელი ცელი.
მაშინ სადღა მაქუს ლამაზი ფერი,
მეფრინავი მსწრაფლ დრო არს ყველას მტერი!

ივ. კერეველიძე.

სხვა ⁊ სხვა ანბავი.

— სექტემბრის თვის კავკაზის გაზეთში წაკითხეთ კორესპონდენცია, რომ ქართლის მხარეზედ, ვენახებისათჳს შეუერია ნაცარი ⁊ ღვინოს მოუსაღლობას მიუცია დიდი ზარალი, ჩუენ ეს ანბავი ცამეტსარო შევიტყეთ კახეთიდგანაც, სადაცა უბირველესი ღვინის ბინა არის. ჩუენ სომხეთის მხარეზედ, მდინარე ალგეთის ჴირზედ, მართლადაც ისე წასდა ეურძენი, რომ ვისაც ათი საბალნე ღვინის იმედი ჰქონდა, იმას ერთიც ძლივს გამოუვიდა.—ამ საგანზედ ბევრი ლონისძიება წაგვიკითხეთ გაზეთებში ⁊ ბევრი მიზეზების ახსნაცა, მაგრამ როგორც ადგილობრივ ამ წელიწადს დავრწმუნდი, ადგილობრივ თვალ-ეური ვადევნე ამ სნეულებას, ის ლონის ძიებაებიც ⁊ ის მიზეზებიც სრულებით სიცრუე გამოდგა. ზოგი ერთს ალაგს, ვენახში შევნიშნე, რომ სადაც ერთი ვაზი გადაწვენილია, მაშასადამე ერთი საზოგადო ძირი აქუს, ცალს რქას ეურძენს ნაცარი მორეული ჰქონდა ძრიელ ⁊ მეორე რქა სრულებით საღი იყო; ამას გარდა. ერთ არშინზედ ერთი

კაცის ყურძენი სადი იყო სრულებით; თუ ვ ოცათ ვი-
თომაც ჭაერშიიყოს ეს სნეულება; კიდევ ამას გარდა ანბო-
ბენ, ხშირად მორწყვაც ახდენს ყურძენსაო ⁄ ბალახის
გათიბაცაო. ჩუენ ესეც შევნიშნეთ, ზოგი ერთს ალაგს,
სადაც ოიოქმის ყ ოველ დღე ვაზი მორწყულა, რადგანაც
ბოლტნეული ეოფილა, ყურძენი სადაო იყო, ⁄ ზოგი
ერთს ალაგს აგრეთვე ხშირად მორწყულში.—წამსდა-
რი; ისეც გათიბულს ⁄ გაუთიბელს ადგილებში. მაშ
რას უნდა მიეაწეროთ ეს სნეულება? რა მიზეს? ამისი
ცნობა ⁄ გაპოკვლევა ადგილ მამულის მოვლის სა-
ზოგადოების ვალია.—ჩუენ დარწმუნებულნი ვართ,
მთავრობა არას ზოგავს საზოგადოდ კეთილმდგომარეო-
ბისათვის ⁄ გვიკვირს თუ, საზოგადოება რატომ არ
მიაქცევს ყურადღებასა ამ უმთვარეს საგანსა, ხომ ჭე-
ვანან საკმაოდ რიცხვი აგრონომებისა.—ჩუენ ესეც
შევიტყეთ, ერთს ჩუენნის ქვეყნის შვილს, ჰატივსაცემს
ლოკტორს, ვითომც მოეპოვებინოს ნამდვილი ღონისა-
ძიება ამ სნეულებისათვის, გვიკვირს, თუ რატომ არ
მისცემს მამულის მართვის საზოგადოება ამ ჰატივცემ-
ულს ჰირს, შემწეობასა, მაგრამ მგონია ამისი მიზეზი, ეს
ალბის, დოქტორი არ არის უცხოქვეყნელი. რა გაეწეობა, კი-
დეც ამისათვის ვართ, ასე ღონე მოკლებულები.

— ამ ორის წლის წინათ ჩუჩნ ვაცნობეთ ციხეკრის მკითხველებს, თუ რა გულს მიდგინებით დაიწყეს აღშენება წმ. პეტრე-პავლეს ეკკლესიისა, ჩუჩნთა მაძმეთა, ერთი მიწა-წულის შვილებმა, ქართველთ კათოლიკეთ, კუკიაში,-ახლა, ამ მოკლეს დროში ეს წმინდა, საღმრთო ⁊ დიდებული ტაძარი უნდა შესრულდეს; ბევრთა შემძლე ⁊ გამოჩენილთ პირთა მიიღეს მონაწილეობა ამ საღმრთო საგანზედ, მაგრამ ყველაზედ მეტი შრომა მიუძღვის, ყოველთაგან პატივცემულის ⁊ ყოველთაგან მცნობის ⁊ საყვარელის, იაკობ ზუბა-ოვის შვილს, კონსტანტინეს, რომელიცა მოუღალავად ყოველ დღეზედ შენობას ადგია ⁊ სთესავს დაუჭკნობელს ღვაწლსა. ეური მოვკარით, ვითომც იუნისის თვემდინ უნდა სულ მზათ იყოს ⁊ იმ თვეში გადაიხდება კურთხევის წესი. ღმერთმა შეუწიროს, ერთგულთ ქრისტეს ძეთა ⁊ იმის მოსავთა

რედაქციისაგან.

ამ ოქტომბრის თვეში, მივიღეთ გორითაგან, სოფლის ოამარაშენითგან საძწუსარო ბ გულის შესამსჭვალავი ცნობა. 10 რიცხვში ამავე თვეს, ავაზაკებს საშინელის ტანჯვით მიუცია თ სიკუდილისათვის, ეოველთგან მცნობი, ქართველთ პოეტი თ. დავით მაჩაბელი. რომელსაცა წაუკითხავს იმ განსვენებულის ლექსი »ვარდი» ისინი დააფასებენ, თუ რა მწერალი იყო ბ რა მეირფასი დანაკარგი დაკარგა ჩუენმა ლიტერატურამ. როგორც ვიცით, ბევრი კარგი რამ თხზულება დარჩენია ნეტარ ხსენებულსა.

1873 წელსა.

«ცისკრის» დაბარება შეიძლება ამ სახით: ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად თუ გაგზავნით, **8** მანეთი.

რედაქცია იმყოფება იარმუკაში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს ან თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

«ცისკრის» რედაქტორს ი. კერესელიძეს, ტფილისში.

Дозволено цензурою

Въ Типографіи П. Кереселидзе. на Солдатскомъ базарѣ.